9. სადისერტაციო ნაშრომი

9.1. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, რომელთაც წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში.
9.2. თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი.
9.3 დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. მას უნდა ახლდეს დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია 30-45 გვერდი (ფორმატი A5) ქართულ და ერთ-ერთ ევროპულ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენაზე.
9.4. განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.
9.5. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე (40-50 გვერდი, ფორმატი A4).
9.6. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობას, ფორმატსა და სხვა ტექნიკურ მონაცემებს განსაზღვრავს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სათანადო ინსტრუქციით. სადისერტაციო ნაშრომის ზღვრული მოცულობაა 150-250 გვერდი. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია დანართი (ინდექსი, ტექსტები და ა. შ). ფურცლის ზომა A4, შრიფტი სახეობა - AcadNusx, შრიფტის ზომა – 12. სტრიქონებს შორის მანძილი 1,5; გვერდის საზღვრები მარცხნიდან 3 სმ; მარჯვნიდან 1,5 სმ; ზემოდან და ქვემოდან 2,5 სმ. ნაშრომს უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი (ციტირებისა და ლიტერატურის მითითების წესი განისაზღვრება სადისერტაციო საბჭოს ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო) .
9.7. დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვიდან არაუგვიანეს 6 თვისა გამოქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით დისერტაცია ელექტრონული ფორმითუნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გამომცემლობის ვებ–გვერდზე. დისერტაციის ერთი ბეჭდური და ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს უნივერსიტეტის სამეცნიერობიბლიოთეკას. წინააღმდეგ შემთხვევაში დისერტანტზე არგაიცემა დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი.